განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

14/04/2022

27/04/2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206046045
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თორნიკე ხოშტარია, შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო

კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ქავთარაძე, შპს „ფოკუს სტუდიო“, საქართველო, სს „სიბერიან ველნესს“ იტალია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება 2013 წლიდან. პროგრამის სახელწოდება იყო ,,ბიზნესის ორგანიზაცია დამართვა“. პროგრამამ მოცემული სახელწოდებით აკრედიტაცია გაიარა 2013 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N184; 26.11.2013). პროგრამა მოცემულ ეტაპზე წარმოდგენილია რეაკრედიტაციაზე ახალი სახელწოდებით ,,ბიზნესის ადმინისტრირება“. ამჟამად პროგრამა ფუნქციონირებს ავტორიზაციის რეჟიმში.

,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ ბიზნესის სფეროში ფართო ცოდნა და აღჭურვილნი იქნებიან ანალიტიკური, შემოქმედებით, კრიტიკული აზროვნების, მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების უნარით. საბაკალავრო პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს.

საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია 240 ECTS კრედიტის მოცულობით და გაწერილია 4 აკადემიურ წელზე (8 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა არის შემდეგი სახის:

- **143 კრედიტი** განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის;
- **18 კრედიტი** განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) სავალდებულო არჩევითი კურსებისათვის;
- **30 კრედიტი** განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) შესაბამისი არჩევითი კურსებისათვის;

- **24 კრედიტი** განკუთვნილია უცხო ენის (ინგლისური ენა) მოდულისათვის, კურსებისათვის;
- **25 კრედიტი** განკუთვნილია თავისუფალი სასწავლო კურსებისთვის.

პროგრამა ითვალისწინებს ფინანსების, მენეჯმენტის ან მარკეტინგის კონცენტრაციების არჩევის შესაძლებლობას, სადაც სტუდენტმა სავალდებულო წესით უნდა აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი. პროგრამაში წარმოდგენილია ასევე 24 კრედიტის მოცულობით ინგლისურენოვანი მოდული, რომელიც შეუძლია აირჩიოს პროგრამის სტუდენტებმა. აღნიშნული მოდული ხელ უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებას.

პროგრამას განსაზღვრული აქვს მიღების წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე შესაბამისი კომპეტენციების მქონე პირების მოხვედრას. პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება 29 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სადაც 19 არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ხოლო 8 მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტთან აფილირებულია 9 აკადემიური პერსონალი: 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა არის 19/8.

ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 26 აქტიური სტატუსი მქონე სტუდენტი. პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებელი საშუალოდ 70%-ის ფარგლებში მერყეობს. პროგრამა ხორციელდება ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე და უზრუნველყოფილია გამართული თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2022 წლის 14 აპრილს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფისთვის უზრუნველყო სამუშაო გარემო. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში

ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან.
ვიზიტის ფარგლებში მოხდა საბაკალავრო ნაშრომების, პრაქტიკის დღიურებისა და პრაქტიკის ანგარიშების გადახედვა, ასევე, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. შემოწმდა სილაბუსში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა. სასწავლო უნივერსიტეტმა ვიზიტის დროს წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამდებარე დასკვნის მიხედვით ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ან მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, კერძოდ:

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან 2.2; 2.3 და 2.4 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სადაც 4.2 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია ინგლისურენოვანი მოდულში შემავალ სასწავლო კურსებს ერთერთ წინაპირობად განესაზღვროთ ინგლისური ენის ცოდნა B2.2 დონეზე, რაც უნდა დაფიქსირდეს უშუალოდ სასწავლო კურსების სილაბუსებში;
2. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად, ბრენდინგი, ციფრული მარკეტინგი) სავალდებულო ლიტერატურის განახლება ახალი გამოცემებით ან სასწავლო რიდერების მომზადებით;
3. რეკომენდებულია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში;
4. რეკომენდებულია დაწესებულებამ მეტად უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის სტიმულირება, განსაკუთრებით ინტერნაციონალიზაციის კუთხით;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია დაწესებულების წარმომადგენლები მეტად იყვნენ ჩართულები შრომის ბაზრის კვლევის პროცესში;
2. სასურველია პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება და უშუალოდ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული კურსის დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, კერძოდ სასწავლო კურსები: ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია აღნიშნული დასახელებით, ხოლო სილაბუსებში მოცემული კურსები წარმოდგენილია შემდეგი დასახელებით: საინფორმაციო ტექნოლოგიები 1 და საინფორმაციო ტექნოლოგიები 2.;
3. სასურველია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ეკონომიკის პრინციპები 1 და ეკონომიკის პრინციპები 2 სახელწოდებები დაკორექტირდეს, როგორც მიკროეკონომიკის პრინციპები და მაკროეკონომიკის პრინციპები. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს მობილობის პროცესში სასაწავლო კურსების აღიარების გამარტივებას;
4. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურაში საკმარისად არის წარმოდგენილი როგორც ლიდერობის და გუნდის მართვის, ისე ფინანსების ფუნდამენტალური საკითხები, სასურველია აღნიშნული საკითხების უფრო მეტად გათვალისწინება პროგრამის სტრუქტურაში;
5. სასურველია მაქსიმალურად იქნეს თავიდან არიდებული თუნდაც მცირე სახის გადაფარვები სასწავლო კურსებში, მაგალითად მარკეტინგის საფუძვლების და ციფრული მარკეტინგის სასწავლო კურსების სილაბუსებში ადგილი აქვს რამდენმე საკითხის განმეორებას;
6. სასურველია გამარტივდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები, კერძოდ უმჯობესია ის მოიცავდეს მხოლოდ ხელმძღვანელისა და დასკნითი გამოცდის კომისიის წევრების შეფასებებს;

7. სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა შეფასების ნაწილში, რომელიც ფიქსირდება შემდეგი სასწავლო კურსების „ბიზნესი მოქმედებაში“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ შემთხვევებში;
8. სასურველია ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან;
9. სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია გამოკითხვათა შედეგების გამოყენების შესახებ.
10. სასურველია დაწესებულებამ გააქტიუროს აკადემიური პერსონალის შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი შეფასებისა და წახალისების სისტემა, შემუშავდეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა და მოხდეს მისი ასახვა პროგრამის ბიუჯეტში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდას.
11. სასურველია სალექციო კურსის ელექტრონულ მასალებზე წვდომის გამარტივების მიზნით უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ სისტემაში (http://www.thu.edu.ge/ka) სტუდენტის კაბინეტში შეიქმნას კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურის ონლაინ ფორმატში კითხვის მოდული, რაც დაეხმარება სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს უფრო ეფექტურად მართონ თავიანთი დრო;
12. სასურველია დაწესებულებამ პროგრამის ბიუჯეტში მეტი აქცენტი გააკეთოს პროგრამის მარკეტინგულ მხარდაჭერაზე;
13. სასურველია ანაგარიშების მომზადება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები;
14. სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

უნდა აღინიშნოს რომ პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი მოდული. აღნიშნული ტიპის მოდულის არსებობა ხელს შეუწყობს როგორც პროგრამის სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განვითარებას, ისე ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავებას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამამ სხვა სახელწოდებით (ბიზნესის ორგანიზაცია მართვა) აკრედიტაცია გაიარა 2013 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N184; 26.11.2013). პროგრამა მოცემულ ეტაპზე პროგრამა მოდიფიცირებული სახით წარმოდგენილია რეაკრედიტაციაზე, შესაბამისად პროგრამაში განხორციელებული იქნა შემდეგი ძირითადი ცვლილებები:

- პროგრამას დაემატა მარკეტინგის, მენეჯმენტის და ფინანსების კონცენტრაცია, რომელიც შეუძლია აირჩიოს პროგრამის სტუდენტმა;
- დაკორექტირდა და დაიხვეწა პროგრამის სწავლის შედეგები, მოხდა მათი ოპტიმიზაცია;
- შემუშავდა პროგრამის სამიზნე ნიშნულები, ჩამოყალიბდა პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის რუკა;
- პროგრამის გარგლებში დაზუსტდა სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული შეფასების ფორმები და კომპონენტები, დაშვების წინაპირობები, მეთოდები და კრიტერიუმები, ასევე სწავლა/სწავლების მეთოდები;
- განახლდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შემდეგი საგნების დამატებით: ბიზნესი მოქმედებაში, მმართველობითი აღრიცხვა, საგადასახადო საქმე, მომხმარებლის ქცევა, კვლევის მეთოდები ბიზნესში, ციფრული მარკეტინგი;
- გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტები ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში, კერძოდ პროექტების, შემთხვევის ანალიზის და სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ექსელის საშუალებით სავარჯიშოების მომზადება;
- გაძლიერდა ასევე არჩევითი სასწავლო დისციპლინების მოდული, კერძოდ სტუდენტებისათვის დამატებით იქნა შეთავაზებული შემდეგი სასწავლო კურსები: ექსპორტის მენეჯმენტი, საერთაშორისო მენეჯმენტი.
- განახლდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობა;

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნებსა და დაწესებულების მისიის განაცხადს შორის ლოგიკური კავშირი იკვეთება, რაც თანხვედრაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან. (იხ. ვებ-გვერდი შემდეგ მისამართზე http://www.thu.edu.ge/ka/content/66/310/0/0/0/0). ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნები ფორმულირებულია შემდეგნაირად: 1. *კონკურენტუნარიანი (შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით) კადრების მომზადება ბიზნეს ადმინისტრირების (ფინანსები,მენეჯმენტი, მარკეტინგი) სფეროს ფართო თეორიული ცოდნით;* 2. *ამ სფეროსთან დაკავშირებული დაგეგმვის, ორგანიზების, განხორციელებისა და კონტროლისათვის საჭირო პრაქტიკული უნარებით.* პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ორიენტირებულია ფინანსების, მენეჯმენტის და მარკეტინგის სფეროებისათვის აუცილებელი თეორიული თუ პრაქტიკული უნარების გადაცემაზე. ვიზიტის დროს ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პროგრამის განვითარების პროცესში გათვალისწინებული იყო ბაზრის კვლევის შედეგები. თუმცა ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აღნიშნული კვლევა არ ჩატარებულა უნივერსიტეტის ჩართულობით (კვლევა კონტრაქტორმა ორგანიზაციამ შეასრულა). აღნიშნულიდან იკვეთება ორი მოცემულობა. პირველი, ფაქტი იმის შესახებ რომ კვლევა კონტრაქტორმა ჩაატარა მისაღებია, თუმცა დამკვეთი ორგანიზაციის გარკვეულმა იზოლირებამ კვლევის პროცესიდან შესაძლოა არ მოიტანოს სასურველი შედეგი. მეორე, ინტერვიუების დროს არ იქნა კარგად გამოკვეთილი ამონარჩევის რეპრეზენტაბელურობა. ასევე, კვლევის ვალიდობა და საკვლევი ინსტრუმენტის სანდოობა. რაც, მიუთითებს იმ ფაქტზე რომ სასურველია დაწესებულების წარმომადგენლები მეტად იყვნენ ჩართულები შრომის ბაზრის კვლევის პროცესში. ამასთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს ფარგლებში დადასტურდა მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. დამსაქმებლების მხრიდან მოყვანილი იქნა კონკრეტული მაგალითები რჩევების და რეკომენდაციების შესახებ. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების

ფორმულირებისას გათვალისწინებულია როგორც შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე უცხოური გამოცდილება, კერძოდ, ევროპული და ამერიკული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (FOM (გერმანია), University of the people-ის და University of Latvia) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამები. შესაბამისად, პროგრამას შეუძლია მომზადოს ისეთი კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ გარკვეული წვლილი შეიტანოს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (მისია. ხედვა, სტრატეგიული განვითარების გეგმა): http://thu.edu.ge/ka; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია დაწესებულების წარმომადგენლები მეტად იყვნენ ჩართულები შრომის ბაზრის კვლევის პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების

გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია შემდეგი სწავლის შედეგის მიღწევაზე: ***ცოდნა და გაცნობიერება*** *1. აღწერს მარკეტინგის, ფინანსების, მენეჯმენტის ძირითად თეორიებს, მოდელებს, კონცეფციებს, ფუნქციებს, პრინციპებს, ინსტრუმენტებს და მათ მნიშვნელობას ორგანიზაციის მართვის პროცესში და განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელობას და კორპორაციული პასუხისმგებლობის როლს ორგანიზაციაში;* *2. განიხილავს მუდმივად ცვალებად ბიზნესის შიდა და გარე გარემოში ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, შეფასებისა და ანალიზის მნიშვნელობას;* ***უნარები*** *3. ბიზნეს გარემოს ანალიზის საფუძველზე, გეგმავს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიას, ბიზნესის დაწყების მიზნით ახდენს ბიზნეს იდეების იდენტიფიცირებას, საუკეთესო იდეის შერჩევას და მისი კომერციალიზაციის მიზნით ამზადებს ბიზნეს გეგმას;* *4. გეგმავს ბიზნესის ცალკეული სტრატეგიული ერთეულებისათვის მარკეტინგული სტრატეგიისა და მარკეტინგული კომპლექსის ელემენტებს, აანალიზებს მომხმარებელზე მოქმედ ფაქტორებს და მომხმარებლის გადაწყვეტილების მიღების პროცესს.* *5. აფასებს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსური ანგარიშგებების და მაჩვენებლების ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდების გამოყენებით;* *6. აფასებს ფინანსური სისტემის კომპონენტებს, ფულისა და კაპიტალის ბაზრის ქცევას, საპროცენტო განაკვეთსა და გაცვლით კურსზე მოქმედ ფაქტორებს, აანალიზებს კავშირს რისკსა და ფასიან ქაღალდებზე მოსალოდნელ შემოსავალს შორის.* *7. ახდენს ბიზნესის პრობლემების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის მიზნით აგროვებს, აანალიზებს და ამუშავებს საჭირო მონაცემებს და ახდენს მიღებული შედეგების ინტერპრეტირებას;*

დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა

8. *მუდმივად ცვალებად სამუშაო გარემოში პროფესიული საქმისადმი პასუხიმგებლობით მოკიდება, პროფესიული განვითარების მიზნით გეგმის შემუშავება და დამოუკიდებლად მისი განხორციელება.*

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებიდან ნათელია თუ რა ცოდნით და უნარებით იქნება კურსდამთავრებული აღჭურვილი. სწავლის შედეგები ეყრდნობა ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით გათვალისწინებულ დონეს და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.

უნივერსიტეტში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს ყველა პროცედურას რაც საჭიროა შედეგების მიღწევის გასაზომად. ნათელია პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის თავსებადობა, რაც ასახულია შედეგების შეფასების რუკაზე და თან ერთვის დანართის სახით. ხსენებული დოკუმენტი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას თითოეული სასწავლო კურსი მიღწევის დონის შესახებ (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა რომ 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენელი მაღალი არ არის. ხოლო, კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მხოლოდ ერთეული შემთხვევები არის დაფიქსირებული. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ დამსაქმებლები პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები. აღნიშნული პროცესის მსვლელობისას ისინი გასცემდნენ რეკომენდაციებს და იღებდნენ უკუკავშირს. ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ მათ ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ პროგრამის მიზნებსა და შედეგებზე. ინტერვიუებმა აკადემიური და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან დაადასტურა პროგრამის შემუშავების პროცესში მათი ჩართულობა.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება რეგულარულად ხდება. ფაკულტეტი იყენებს როგორც პირდაპირ ასევე, არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვადობა განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით, კერძოდ:

- *სტუდენტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე;*
- *სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებული აქტიური ზმნები, კერძოდ ბლუმის ტაქსონომია;*
- *შერჩეულია შესაფერისი შეფასების მეთოდები;*
- *განსაზღვრულია სასურველი სამიზნე ნიშნულები.*

უნივერსიტეტში მოქმედებს კურსდამთავრებულთა ყოველწლიური გამოკითხვის მექანიზმი, რომლის შედეგების გაანალიზების საფუძველზეც დგინდება პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან. სტუდენტებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინი მიღწევებთან დაკავშირებით იღებენ უკუკავშირს. აგრეთვე, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის დასახვეწად. მაგალითად, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ისეთი უნარების საჭიროება, როგორიცაა Excel-ში მუშაობა, ბიზნესის სფეროს პროგნოზირებისა და კვლევების ჩატარების უნარები, რაც ასახული იქნა პროგრამის განახლებულ სტრუქტურაში შესაბამისი სასწავლო კომპონენტების სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ შრომის ბაზრის კვლევა; ○ სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი; ○ სწავლის შედეგების რუკა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს: • სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, და ჩააბარებენ ერთიანი ეროვნულ გამოცდებს; • უცხო ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეებს, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; • პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსულ შესაბამის სტუდენტებს; „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდებით მიღებისას ბარდება შემდეგი საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ინგ.) და სავალდებულოა მათემატიკის ან ისტორიის არჩევა მესამე საგნად. გამომდინარე აქედან ცხადია, რომ დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, მიღების წინაპირობები ხელმისაწვდომია, განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-

გვერდზე, გამჭირვალეა და უზრუნველყოფს პროგრამაზე შესაბამისი კომპეტენციების მქონე პირების დაშვებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://thu.edu.ge/ka; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ,,აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმი“, რომელიც დეტალურად აღწერს აკადემიური საგანმანთლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესებს. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო

პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული აკადემიური პროგრამების განვითარების დარგობრივი კომისია, განხორციელდა დამსაქმებელების მოთხოვნების ანალიზი, მოხდა ანალოგიური უცხოური პროგრამების შესწავლა (FOM Hochschule für Ökonomie & Management, University of People-ის და University of Latvias-ს) ბიზნესის ადმინისტრირების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება), გაანალიზდა უნივერსიტეტის პრიორიტეტები და რესურსების ხელმისაწვდომობა, რაც მიუთითებს იმაზე რომ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია 240 ECTS კრედიტის მოცულობით და გაწერილია 4 აკადემიურ წელზე (8 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურაში:

- **143 კრედიტი** განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის. აქედან, პრაქტიკის კომპონენტისათვის დათმობილია 10 კრედიტი;
- **18 კრედიტი** განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) სავალდებულო არჩევითი კურსებისათვის, რომლებიც ფოკუსირებულია ფინანსების, მენეჯმენტის ან მარკეტინგის კონცენტრაციებზე;
- **30 კრედიტი** განკუთვნილია ბიზნესის ადმინისტრირების (სწავლების ძირითადი სფერო) შესაბამისი არჩევითი კურსებისათვის;
- **24 კრედიტი** განკუთვნილია უცხო ენის (ინგლისური ენა) მოდულისათვის, კურსებისათვის;
- **25 კრედიტი** განკუთვნილია თავისუფალი სასწავლო კურსებისთვის.

როგორც წარმოდგენილი სტრუქტურიდან ჩანს პროგრამა ითვალისწინებს ფინანსების, მენეჯმენტის ან მარკეტინგის კონცენტრაციების არჩევის შესაძლებლობას, სადაც სტუდენტმა სავალდებულო წესით უნდა აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი. პროგრამის სტრუქტურაში 143 კრედიტით კარგად არის წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აუცილებელი სავალდებულო სასწავლო კურსები მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის შესწავლის კომპონენტს 24 კრედიტის მოცულობით, სადაც სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა ინგლისური ენის ცოდნის B1.1. დონიდან მიაღწიოს B2.2. დონეს (აღნიშნული დონის

მიღწევა სავალდებულოა). პროგრამის სტრუქტურა სავალდებულოდ ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტის გავლას 10 კრედიტის ფარგლებში და საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას 12 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის სტრუქტურა თავისი შინაარსით შესაბამისობაშია პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან და იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა მიიღოს ფართო ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა ფუნქციების და მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ასევე გაეცნოს ბიზნეს გარემოს, რომელშიც ხორციელდება ეს ფუნქციები, შესაბამისად პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსებით, რომლებიც უზრუნველყოფენ საბაკალავრო საფეხურის შესაბამისად პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაციის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი) შესაბამისობას პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა სავალდებულოდ ითვალისწინებს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა: მენეჯმენტის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები, მმართველობითი აღრიცხვა, მარკეტინგის საფუძვლები, მომხმარებლის ქცევა, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში და ა.შ. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ისეთი სასაწავლო კურსები როგორიცაა: ბიზნესის საფუძვლები, ეკონომიკის პრინციპები 1 და 2, სამეწარმეო სამართლის საფუძვლები, ბიზნესის ეთიკა და საქმიანი ეტიკეტი, საგადასახადო საქმის საფუძვლები, საერთაშორისო ბიზნესი და ბიზნესი მოქმედებაში. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო-კვლევით კომპონენტს, კერძოდ პროგრამის სტუდენტები სავალდებულო სახით სწავლობენ კვლევის მეთოდები ბიზნესში, აკადემიური წერა და პროგრამას ასრულებენ საბაკალავრო ნაშრომით. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ პროგრამის ფუნქციონალური და ინსტრუმენტალური ნაწილი აკმაყოფილებს მისანიჭებელი კვალიფიკაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, პროგრამის სტრუქტურის მიმართ გაგვაჩნია შემდეგი რჩევა: მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურაში საკმარისად არის წარმოდგენილი როგორც ლიდერობის და გუნდის მართვის, ისე ფინანსების ფუნდამენტალური საკითხები, კარგი იქნებოდა აღნიშნული საკითხების უფრო მეტად გათვალისწინება პროგრამის სტრუქტურაში.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს რომ პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი მოდული, რაც ცალსახად კარგი ფაქტია და შეიძლება საუკეთესო პრაქტიკადაც მივიჩნიოთ. აღნიშნული ტიპის მოდულის არსებობა ხელს უწყობს როგორც

პროგრამის სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განვითარებას, ისე ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავებას. ამასთან, რეკომენდებულია ინგლისურენოვანი მოდულის სასწავლო კურსებს ერთერთ წინაპირობად განესაზღვროთ ინგლისური ენის ცოდნა B2.2 დონეზე, რაც უნდა დაფიქსირდეს უშუალოდ სასწავლო კურსების სილაბუსებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექანიზმები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://thu.edu.ge/ka;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია ინგლისურენოვანი მოდულში შემავალ სასწავლო კურსებს ერთერთ წინაპირობად განესაზღვროთ ინგლისური ენის ცოდნა B2.2 დონეზე, რაც უნდა დაფიქსირდეს უშუალოდ სასწავლო კურსების სილაბუსებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურაში საკმარისად არის წარმოდგენილი როგორც ლიდერობის და გუნდის მართვის, ისე ფინანსების ფუნდამენტალური საკითხები, სასურველია აღნიშნული საკითხების უფრო მეტად გათვალისწინება პროგრამის სტრუქტურაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪ უნდა აღინიშნოს რომ პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისურენოვანი მოდული. აღნიშნული ტიპის მოდულის არსებობა ხელს შეუწყობს როგორც პროგრამის სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების განვითარებას, ისე ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაღრმავებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლების ძირითადი სფეროს იგივე ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, გამომდინარეობს სასწავლო კურსის მიზნიდან, შინაარსიდან, გამოყენებული ლიტერატურიდან და შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული კონცენტრაციების (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) სწავლის შედეგებიც. პროგრამის სტრუქტურაში ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები წარმოდგენილია 5 და 6 კრედიტიანი კურსების სახით, რაც შესაბამისობაში სასწავლო კურსების სილაბუსით განსაზღვრული მიზნებთან, სასწავლო მასალის მოცულობასა და მისაღებ სწავლის შედეგებთან. შესაბამისად, თითოეული სასწავლო კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტები გამომდინარეობს სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალიდან. სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის მიმართება მოცემულია სწავლის შედეგების რუკით, სადაც ნათლად არის წარმოდგენილი თუ როგორ ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განვითარება გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების

დონეზე. აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გააზრებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარების ლოგიკა და თავისებურებები. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა იწყება გაცნობით და ლოგიკურად ვითარდება გაღრმავებით, ხოლო პროგრამაზე სწავლების დასრულებისას ხდება მათი განმტკიცება პროგრამის სავალდებულო კომპონენტების პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის ნაწილში.

პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი ლოგიკურია და შესაბამისობაშია კურსის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, თუმცა სასურველია მაქსიმალურად იქნეს თავიდან არიდებული თუნდაც მცირე სახის გადაფარვები, მაგალითად მარკეტინგის საფუძვლების და ციფრული მარკეტინგის სასწავლო კურსების სალაბუსებში ადგილი აქვს რამდენმე საკითხის გადაფარვას. აღნიშნული ფაქტი ცხადია, გავლენას ვერ მოახდენს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე, თუმცა სასურველია მსგავსი ტიპის შემთხვევებზე მეტი ყურადღების გამახვილება.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები პროგრამის სწავლების ენიდან გამომდინარე მაქსიმალურად არის გაჯერებულია ქართულენოვანი სასწავლო მასალებით, თუმცა რამდენიმე კურსის შემთხვევაში რეკომენდებულია აღნიშნული მასალების განახლება და მორგება აკადემიურ მიზნებზე. მაგალითად, სასწავლო კურში ,,ბრენდინგი“ გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა რეკომენდებულია ჩანაცვლდეს რომელიმე ქართულენოვანი აკადემიური დანიშნულების ლიტერატურით ან სასწავლო კურსის რიდერით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურსის ავტორმა ინტერვიუირებისას განაცხადა რომ იცის აღნიშნული ფაქტის შესახებ და მუშაობს კურსის ლიტერატურის განახლებაზე. ასევე, საჭიროა ზოგიერთი სხვა სასწავლო კურსის (მაგ. ციფრული მარკეტინგი) სავალდებულო ლიტერატურის განახლება უფრო ახალი გამოცემებით ან რიდერების მომზადება. ამასთან, ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება და უშუალოდ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული კურსის დასახელება შესაბამისობაშია მოსაყვანი ერთმანეთთან, კერძოდ სასწავლო კურსები: ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია აღნიშნული დასახელებით, ხოლო სილაბუსებში მოცემული კურსები წარმოდგენილია შემდეგი დასახელებით: საინფორმაციო ტექნოლოგიები 1 და საინფორმაციო ტექნოლოგიები 2.; ასევე სასურველია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ეკონომიკის პრინციპები 1 და ეკონომიკის პრინციპები 2 სახელწოდებები დაკორექტირდეს, როგორც მიკროეკონომიკის პრინციპები და მაკროეკონომიკის პრინციპები. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს მობილობის

პროცესში სასაწავლო კურსების აღიარების გამარტივებას;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან; ○ სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები; ○ პროგრამის სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა; ○ სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://thu.edu.ge/ka;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგალითად, ბრენდინგი, ციფრული მარკეტინგი) სავალდებულო ლიტერატურის განახლება ახალი გამოცემებით ან სასწავლო რიდერების მომზადებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის დასახელება და უშუალოდ სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული კურსის დასახელება შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან, კერძოდ სასწავლო კურსები: ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია აღნიშნული დასახელებით, ხოლო სილაბუსებში მოცემული კურსები წარმოდგენილია შემდეგი დასახელებით: საინფორმაციო ტექნოლოგიები 1 და საინფორმაციო ტექნოლოგიები 2.; ▪ სასურველია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების ეკონომიკის პრინციპები 1 და ეკონომიკის პრინციპები 2 სახელწოდებები დაკორექტირდეს, როგორც მიკროეკონომიკის პრინციპები და მაკროეკონომიკის პრინციპები. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს მობილობის პროცესში სასაწავლო კურსების აღიარების გამარტივებას; ▪ სასურველია მაქსიმალურად იქნეს თავიდან არიდებული თუნდაც მცირე სახის

გადაფარვები სასწავლო კურსებში, მაგალითად მარკეტინგის საფუძვლების და ციფრული მარკეტინგის სასწავლო კურსების სალაბუსებში ადგილი აქვს რამდენმე საკითხის განმეორებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციისათვის დამახასიათებელი როგორც აუცილებელი თეორიული ცოდნის მიღებას, ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების უზრუნველყოფს აღნიშნული მიზნების მიღწევას. მაგალითად, პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით, პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტებს სთავაზობენ კონკრეტული პრაქტიკული ხასიათის პროექტებისა და დავალებების შესრულებას. ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში პროექტების და სავარჯიშოების ამოხსნა ხორციელდება Excel-ის საშუალებით, (მაგალითად, ფინანსური, მმართველობითი აღრიცხვა, ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები), რაც კიდევ მეტად უვითარებს ისეთ პრაქტიკულ უნარებს, რომელიც აუცილებელია შრომის ბაზარზე კონკურენტუარიანობის მისაღწევად. გარდა ამისა პროგრამის სტრუქტურაში 10 კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებულია სავალდებულო საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი,

რომლის მიზანიც არის ,,სტუდენტებმა შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირება, პრაქტიკულად გამოსცადონ აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნა და განავითარონ პროფესიული კომპეტენციები“. პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულება თანამშრომლობს სხვადასხვა პროფილურ ორგანიზაციებთან და მათი მხარდაჭერით ახორციელებს პრაქტიკის კომპონენტს. დაწესებულებას თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს „აუდიტორული ფირმა - ორბი“; „ემბავუდი ჯორჯია“; შპს „ვაინერი“; შპს პოულტრი ჯორჯია; შპს „ორი ნაბიჯი“; შპს ,,ქართუ უნივერსალი“; შპს „ორიენტ ლოჯიკი და სხვა. რაც სრულად უზრუნველყოფს დაგეგმილი პრაქტიკის რეალიზაციას. გარდა ამისა, დაწესებულებაში პერმანენტულად ტარდება სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის სხვადასხვა ღონისძიებები, მაგალითად, ყოველწლიურად იმართება სტუდენტა სამეცნიერო კონფერენციები სადაც პროგრამის სტუდენტების არიან ჩართული, იბეჭდება კონფერენციის მოხსენებების კრებული, ტარდება სტუდენტების განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგები, სემინარები და მასტერ კლასები, ისეთ თემატიკაზე როგორიცაა ,,ჩემი პროფესია პრაქტიკაში“ (2018წ), ,,ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკური გამოწვევები“ (2019 წ), ,,გადაწყვეტილების მიღების გამოყენებითი მოდელები“ (2019 წ), ,,ინფლაციის თარგეთირება და ფასების სტაბილურობა“ (2020 წ), "მოტივაციის ძალა" (თვით-განვითარების მნიშვნელობა) (2020 წ), ,, პანდემიით გამოწვეული პრობლემები და გამოწვევები ქვემო ქართლის ბიზნესის და განსაკუთრებით ტურისტული ბიზნესისთვის“ (2020 წ), ,,როგორ განვსაზღვროთ საბაზრო ნიშა და როგორ შევაფასოთ სწორად ახალი ბიზნესის პოტენციური ბაზარი“ (2021 წ), : „ლოგისტიკის საფუძვლები & ლოგისტიკური მენეჯმენტი. ლოგისტიკა როგორც მომავლის პროფესია?“ (2021 წ), „ლიდერობა არ არის პრივილეგია, არამედ პასუხისმგებლობაა, რათა გააკეთო მეტი” (2021 წ) და ა.შ. ამასთან, რეკომენდებულია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში. გარდა ამისა სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა სპორტულ თუ კურიკულუმის გარეთ აქტივობებში, რასაც მოწმობს უნივერისტეტში გამოფენილი სტუდენტების მიერ მოპოვებული სპორტული პრიზები და ჯილდოები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგები; ○ მემორანდუმები დამსაქმებლებთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://thu.edu.ge/ka
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამით სწავლების პროცესში, სწავლების შედეგების მისაღწევად, სხვადასხვა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდები, ან ხდება მათი კომბინირებული გამოყენება. თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას ხოლო მათი ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. ხოლო ამ მეთოდების ფარგლებში გამოიყენება ისეთი აქტივობები, როგორიცაა: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (ქეისები), ქვიზები/ტესტები, პროექტების პრეზენტაცია, კითხვარები, თანამშრომლობითი სწავლება, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი და სხვ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში მოქმედებს ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია“ , რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების შეუფერხებელ ჩართულობას სასწავლო პროცესში. შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: http://thu.edu.ge/ka
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტის შეფასებისას ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 3 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები ფასდება 60 ქულით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - 40 ქულით. სილაბუსების გაცნობის შემდეგ გამოვლინდა ერთ-ერთი სასწავლო კურსის, კერძოდ, „ბიზნესი მოქმედებაში“ ტექნიკური ხასიათის შეცდომა, როდესაც პირველად ცხრილში შეფასების ფორმებში მითითებულია შუალედური შეფასებისთვის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასებისას - 30 ქულა. აღწერილობით ნაწილში კი ქულები ჩაშლილია 60 და 40 ქულის შესაბამისად, შესაბამისად სასურველია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის კორექტირება. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედური შეფასებისათვის შეადგენს 21 ქულას, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი ქულა არის მხოლოდ 20 ქულა, ანუ დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%. სასწავლო კომპონენტი დაძლეულია საერთო ჯამში 51 ქულის მიღების შემთხვევაში. ყველა სილაბუსში ასახულია დასკვნით გამოცდაზე დაშვების და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასევე, შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული განსაზღვრულია

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (იხ. ბმული: http://www.thu.edu.ge/img/dxp/saswavlo-procesis-maregulirebeli-wesi---60f591f41807c.pdf). ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სასწავლო კურსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შუალედური შეფასების კომპონენტებია (გარდა შუალედური გამოცდისა): ზეპირი გამოკითხვები, ქვიზები, შემთხვევის ანალიზი, საშინაო პრაქტიკული დავალებები და სხვ. შუალედურ და დასკვნითი გამოცდების შემთხვევაში ძირითადად გამოყენებულია კომბინირებული ტესტი, რომელიც შედგება ღია და დახურული ტიპის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის შეკითხვისაგან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს ისინი დადებითად აფასებენ მოქმედ შეფასების სისტემას და მის შემადგენელ კომპონენტებს. გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გათვალისწინებულია სტუდენტთა აზრიც, იმ მიმართულებით, რომ სასწავლო კურსების უმრავლეს ნაწილში დამატებულია შემთხვევების ანალიზის ნაწილი. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული შეფასე-ბის სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს. შეფასების ფორმები და კომპონენტები არის გამჭვირვალე და ცნობილია სტუდენტისათვის.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, რომლის დახმარებითაც ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი (იხ. ლინკი: http://thu.ge/login). ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ სტუდენტთა ინფორმირებულობას მიმდინარე შეფასებების შესახებ. კურსის მიმდინარეობის მანძილზე თითოეულ სტუდენტს საშუალება აქვს თავის მიმდინარე შეფასებებს ელექტრონული მართვის სისტემიდან ადევნოს თვალი და დროული რეაგირება ჰქონდეს მიღწეულ შედეგებზე. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით არსებობს ლექტორსა და სტუდენტს შორის იოლი კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობა ელექტრონულად. ხოლო საგამოცდო პროცესის წარმართვის, ანუ ონლაინ გამოცდებისთვის ჩასატარებლად მიმდინარე ეტაპზე გამოიყენება moodle-ის სისტემა. თუმცა, ელექტრონული სასწავლო მასალების განთავსება და სტუდენტებისთვის მათი მიწოდება ხდება მხოლოდ პირადი ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. სასურველია, პროცესის ელექტრონული მართვის ან moodle-ის სისტემაში სასწავლო მასალების შესაძლებლობის ინტეგრაციაც.

სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებს შეუძლიათ შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების გასაჩივრება შეფასების თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან 48 საათში სტუდენტის პერსონალური გვერდის გამოყენებით ელექტრონულად ან ფაკულტეტის სასწავლო პროცესის კოორდინატორთან შესაბამისი წერილობითი განცხადების შეტანის გზით. (იხ. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის მე-18 პუნქტი). სტუდენტებთან ინტერვიუირების დროს მათ განაცხადეს რომ ამ უფლებამოსილებით არ უსარგებლიათ, თუმცა ზოგადად სმენიათ ამის შესახებ. რაც შეეხება სილაბუსს, სტუდენტი მას შეიძლება გაეცნოს ელექტრონული მართვის სისტემის დახმარებით სასწავლო სემესტრის დაწყების შემდეგ, ასევე, შესაბამისი სასწავლო კურსის წამყვან აკადემიურ თუ მოწვეულ ლექტორთან.

პროგრამაში სავალდებულო სახით შესასრულებელია საწარმოო პრაქტიკა 10 კრედიტის მოცულობით. ამ უკანასკნელის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია და სხვ. მოცემულია საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში. საწარმოო პრაქტიკის შეფასება იყოფა ორ ნაწილად: მიმდინარე აქტივობის შეფასება (სულ 60 ქულა) და დასკვნითი ანუ პრაქტიკის დაცვა (სულ 40 ქულა). მიმდინარე აქტივობის შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს ორ ეტაპსა და კომპონენტს, ესენია, ყოველკვირეული აქტივობა, რომელიც ფასდება მაქსიმუმ 30 ქულით, ერთი კვირის განმავლობაში სტუდენტის აქტიურობა ფასდება მაქსიმუმ 3 ქულით და პრაქტიკის დღიურის წარმოება, რომელიც, ასევე, ფასდება 30 ქულით. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტის მიერ დღიურის წარმოება ფასდება სულ სამჯერ, ერთი შეფასება 10 ქულის ტოლია. პრაქტიკის დასკვნითი შეფასება ახდენს პრაქტიკის პერიოდში მიღებული კომპეტენციების დემონსტრირებას და ითვალისწინებს პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვას და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: ა) პრაქტიკის ანგარიშის შეფასება (მაქსიმუმ 20 ქულა) და ბ) პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია (მაქსიმუმ 20 ქულა). პრაქტიკის ანგარიშის შეფასება შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ა) გაფორმება და რეზიუმე, რომელიც ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს (მაქსიმუმ 5 ქულა); ბ) პრაქტიკის ობიექტის აღწერა, რომელიც ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე (მაქსიმუმ 5 ქულა); გ) პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი, ანუ რამდენად შეესაბამება პრაქტიკული საქმიანობა სასწავლო/საწარმოო პროფესიული პრაქტიკის მიზნებს, რამდენად განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს (მაქსიმუმ 5 ქულა) და დ) დასკვნები და რეკომენდაციები (მაქსიმუმ 5 ქულა). ხოლო პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: ა) შესავალი (4 ქულა); ბ) არგუმენტაცია (4 ქულა); გ) დასკვნები (4 ქულა); დ) აუდიტორიასთან კონტაქტი (4 ქულა); ე) თვალსაჩინოების

გამოყენება (4 ქულა). საწარმოო პრაქტიკის შემთხვევაში დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებებში დაგროვილი აქვს - არანაკლებ 26 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია არანაკლებ 15 ქულა.

პროგრამაში, ასევე, სავალდებულო სახით შესასრულებელია საბაკალავრო ნაშრომი 12 კრედიტის მოცულობით. ამ უკანასკნელის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია და სხვ. მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსსა და • საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესში (იხ. ლინკი: http://thu.edu.ge/img/dxp/sabakalavro--naSromis-momzadebisa-da-dacvis-wesi-60ed299c8b050.pdf). საბაკალავრო ნაშრომის შეფასება იყოფა ორ ნაწილად: შუალედური შეფასება (სულ 60 ქულა) და დასკვნითი შეფასება (სულ 40 ქულა). თავის მხრივ შუალედური შეფასება გაყოფილია ორ ნაწილად: ხელმძღვანელის შეფასება (სულ 30 ქულა) და რეცენზენტის შეფასება (სულ 30 ქულა). ხელმძღვანელი სტუდენტს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ა) თემის შერჩევის დასაბუთება, მასალის მოძიება, ბიბლიოგრაფიული წყაროების შერჩევა, გეგმის შედგენა (5 ქულა); ბ) თემის შერჩევა არის დასაბუთებული, მოძიებულია თემასთან შესაბამისი მასალა, ბიბლიოგრაფიული წყაროები არის მითითებული, გეგმა არის სრულყოფილი (10 ქულა). უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელი კომპონენტის შემთხვევაში საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის მოცემული ნაწილში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა და აღწერილობითი ნაწილი უარყოფით ფორმაშია დაწერილი, სასურველია გასწორდეს წარმოდგენილი შეცდომა. გ) ნაშრომის ტექსტური ვარიანტის დაწერა/აპრობაცია/ძირითადი თეზისების ფორმულირება (15 ქულა). ხოლო რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კომპონენტების მიხედვით: ა) ფაქტობრივი მასალის ფლობა (10 ქულა); ბ) გადმოცემის თანმიმდევრობა, არგუმენტაცია (5 ქულა); გ) კვლევისა და ანალიზის უნარი (10 ქულა); დ) ნაშრომის ტექნიკური, სტილისტური და გრამატიკული გამართულობა (5 ქულა).

დასკვნითის შეფასების დროს საბაკალავრო ნაშრომი ფასდება ოთხი კომპონენტის მიხედვით, კერძოდ:

- საბაკალავრო ნაშრომის შესაბამისობა მიზნებთან (მაქსიმალური შეფასება 15 ქულა);
- პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე, წყაროების გამოყენება (მაქსიმალური შეფასება 10 ქულა);
- პრეზენტაციის დიზაინი (გაფორმება)(მაქსიმალური შეფასება 10 ქულა);
- პრეზენტაციის ტექნოლოგია/ კონტაქტი აუდიტორიასთან (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა);

საყურადღებოა, რომ სილაბუსში წარმოდგენილი შეფასება განსხვავდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ „საბაკალავრო ნაშრომის მომზადების და დაცვის წესში“ აღნიშნული შეფასებისგან. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ შესაძლებელია წარმოდგენილი კომპლექსური შეფასების გამარტივება და რეცენზენტის შეფასების ქულობრივი გადანაწილება ხელმძღვანელის შეფასებებსა და დასკვნითი შეფასებების ნაწილში.

აღსანიშნავია, რომ საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს მინიმუმ 21 ქულას, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვისათვის იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისია, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. კომისია შედგება სულ მცირე 5 წევრისაგან. კომისიის თავმჯდომარე არის ფაკულტეტის დეკანი ან შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესი. ზემოთ აღნიშნულ წესში ჩვენ ვკითხულობთ, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომისათვის პლაგიატის პროცენტული გაანგარიშება არ უნდა შეადგენდეს 25%-ზე მეტს (მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრამდე); 17 %-ზე მეტს (2023 წლის 1 იანვრიდან). ამდენად, ყველა საბაკალავრო ნაშრომი გადის ანტიპლაგიატის პროგრამაში შემოწმებას. გამოყენებული პროგრამაა „Urkund”. სტუდენტი ვალდებულია საბაკალავრო ნაშრომი პლაგიატის დეტექციისათვის წარმოადგინოს არაუგვიანეს მე-14 სასწავლო კვირისა. ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში მასალის ტექნიკურ ატვირთვას და გადამოწმებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენებით მიღებული შედეგები, ნაშრომის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, ეცნობება სტუდენტს და ფაკულტეტს (მათ შორის ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს). ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი განიხილავს პლაგიატის დეტექტირების შედეგებს და წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას ნაშრომის დაცვისათვის დაშვება/არ დაშვების შესახებ. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტს ეგზავნება ნაშრომი და შესაბამისი შედეგები და ეძლევა გონივრული ვადა (არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა) მის გამოსასწორებლად. სტუდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ გაასწოროს ნაშრომი პლაგიატის დეტექტირების შედეგებზე დაყრდნობით. ხელმეორედ პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომი არ ფასდება, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა ნაშრომი წარმოადგინოს შემდეგ

სემესტრში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი იცნობენ აღნიშნულ წესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, იხ. ბმული: http://www.thu.edu.ge/img/dxp/saswavlo-procesis-maregulirebeli-wesi---60f591f41807c.pdf; ○ საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი, იხ. ბმული: http://thu.edu.ge/img/dxp/sabakalavro--naSromis-momzadebisa-da-dacvis-wesi-60ed299c8b050.pdf; ○ ელექტონული სერვისების სისტემა, იხ. ბმული: http://thu.ge/login; ○ შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების წესი, იხ. ბმული: http://www.thu.edu.ge/img/dxp/akademiuri-keTilsindisierebis-dacvis,-plagiatis-prevenciis,-aRmoCenisa-da-reagirebis-wesi-60ed31ea569bc.pdf ○ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გამარტივდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები, კერძოდ უმჯობესია ის მოიცავდეს მხოლოდ ხელმძღვანელისა და დასკნითი გამოცდის კომისიის წევრების შეფასებებს. ○ სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა შეფასების ნაწილში, რომელიც ფიქსირდება შემდეგი სასწავლო კურსების „ბიზნესი მოქმედებაში“ და „საბაკალავრო ნაშრომი“ შემთხვევებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების საკითხებზე ძირითადად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანატი) სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით. მაგ., აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, პედაგოგების ცხრილი, საგამოცდო ცხრილი და სხვა) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემებში მათ პირად გვერდზე (ელექტონული სერვისების

სისტემა, იხ. ლინკი: http://thu.ge/login).

სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტები პოტენციური დამსაქმებლებისა თუ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას იღებენ ფაკულტეტის ვებ-გვერდების სიახლეებიდან. საგანმანათ-ლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის განხორციელებას და პროცესის შეუ-ფერხებლად წარმართვას ორგანიზებას გაუკეთებს ფაკულტეტი და პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი კმაყოფილები არიან პრაქტიკის არსებული სისტემის ორგანიზებით. ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონ-ტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან საუბრისას დაადასტურეს, რომ მათი დატვირთვა და შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ სტუდენტთა კონსულტაციების საათებსაც. ზოგადად, ყოველი სემესტრის დასაწყისში დგინდება ოფიციალური საკონსულტაციო განრიგი, რომელიც შემდგომ ქვეყნდება [მატერიალურად] ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებზე. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტები ადასტურებენ, რომ ისინი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. ამასთან, მათ შორის კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან უფრო მეტად სოციალური ქსელის დახმარებითაც კი. ამასთან, მიმდინარე პერიოდში პან-დემიასთან დაკავშირებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს მიიღონ შესაბამისი ონლაინ კონსულტაცია.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების და სხვათა შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან და ადმინისტრაციისგან. თუმცა, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტების დაინტერესება ამ მიმართულებით ნაკლებად არის, სტუდენტების მხრიდან ამის მიზეზად სახელდება პირადი ოჯახური მიზეზები ან დროის უქონლობა დასაქმებიდან გამომდინარე. ზოგადად, ექსპერტთა ჯგუფის თხოვნის საფუძველზე, სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე ორმა სტუდენტმა მიიღო 2021-2022 სასწავლო წელს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. ეს უკანასკნელი ფაკულტეტის დონეზე დაბალ მაჩვენებლად შეიძლება მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ

მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე კურსდამთავრებულების კვალიფიკაციით დასაქმება მერყეობს 70%-დან 77%-მდე. ამასთან, ინტერვიურების შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებლები დამატებითი გამოთქვამენ მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში მიიღონ მონაწილეობა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმებში ან ჩაერთონ პროგრამების გაუმჯობესების პროცესში. ინტერვიუს შედეგების საფუძველზე ასევე დასტურდება, რომ უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, სასწავლო კურსების შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის პერიოდულ შეფასებაზე. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი გამოკითხვის შედეგებიც. სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია ამ შედეგების გამოყენების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ელექტრონული სერვისების სისტემა, იხ. ბმული: http://thu.ge/login; ○ ERAMUS+-ის შესახებ ინფორმაცია, იხ. ბმული: http://www.thu.edu.ge/ka/content/74/391/0/0/0/0; ○ კონფერენციების და სემინარების შესახებ ინფორმაცია, იხ. ბმული: http://www.thu.edu.ge/ka/content/74/392/477/0/0/0; ○ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ ფაკულტეტის ვებგვერდი, იხ. ბმული: http://www.thu.edu.ge/ka/content/69/348/437/0/0/0;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან; ○ სასურველია სტუდენტებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია გამოკითხვათა შედეგების გამოყენების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არ შეფასებულა
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციას უზრუნველყოფს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 29 აკადემიური პერსონალი, სადაც 19 არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ხოლო 8 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: 7 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი. უნივერსიტეტთან აფილირებულია 9 აკადემიური პერსონალი: 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი. უნივერსიტეტში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი საკონკურსო პირობების მიხედვით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით 19/8 რაც პროგრამის მდგრადი განვითარების ერთერთი წინაპირობა არის. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნიათ სწავლა/სწავლების, აკადემიური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით და პირისპირ ინტერვიუებით. მათი ავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს არა მარტო აკადემიურ, არამედ სფეროში საქმიანობის პრაქტიკულ გამოცდილებასაც.

სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემდეგი თანაფარდობა - 1 პროფესორი / ასოცირებული პროფესორი არაუმეტეს 20 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 5 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე. პროგრამის განხორციელებას ემსახურება გამოცდილი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია შესაბამი კვალიფიკაცია და გამოცდილება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის როგორც შემუშავების, ისე განხორციელების პროცესში, კერძოდ იგი პროგრამის ფარგლებში კითხულობს ისეთ მნიშვნელოვან სავალდებულო სასწავლო კურსებს როგორიცაა ეკონომიკის პრინციპები 1 და 2, და ადამიანური რესურსების მართვა. დაწესებულებაში გაწერილია აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის საფუძველს პროგრამით

განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის. გარდა ამისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც ადგენს შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანამდებობების სამუშაო აღწერილობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. რაც ასევე წარმოადგენს საფუძველს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული პროგრამის განხორციელებას ემსახურება 8 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. როგორც სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით ირკვევა ისინი უზრუნველყოფილი არიან კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სტუდენტთა კონტიგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია; ○ სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური,

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კომპეტენციების შეფასებას და მათი აკადემიური და კვლევითი მუშაობის შედეგების ანალიზს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი, შესაბამისად უნივერსიტეტში შექმნილია ლექციაზე დასწრებისა და შეფასების სპეციალური ფორმა. ხარისხის სამსახურის მიერ სისტემატურად ტარდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (მოწმდება ლექციების, პრაქტიკული და სხვა მეცადინეობების ხარისხი) რაც დასტურდება აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებითა და ხარისხის სამსახურის მიერ აკადემიური პერსონალის შესახებ წარმოდგენილი კვლევების შედეგებით. ასევე, მონიტორინგის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს ლექტორთა პედაგოგიური, პერსონალური, საკომუნიკაციო და სოციალური უნარების პერიოდული აუდიტი, შემდგომში მათი კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტი პერიოდულად იწვევს საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს საჯარო ლექციებისა და მასტერკლასების ჩასატარებლად. ამ გზით ხდება პროგრამის თანამედროვე და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება კონფერენციებში და სამეცნიერო კვლევით აქტივობებში მათი მონაწილეობით, თუმცა სასურველია ამ მიმართულებით აქტივობის გაძლიერება. საშუალოდ ერთ აკადემიურ პერსონალზე ბოლო 2 წლის მონაცემებით მოდის 2 კვლევითი პუბლიკაცია. უნივერსიტეტის მიერ ასევე ფასდება პერსონალის ჩართულობა სასწავლო კურსების პროგრამების მოდიფიცირებაში, რიდერების მომზადებაში, სასწავლო მასალების განახლებაში და სტუდენტებისათვის ბიზნესის მიმართულებით უახლესი ტრენდების შესახებ შესაბამისი ე:გ „ქეისების“ მიწოდებით. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერვიუები აჩვენებს, რომ ყოველი კურსის შემდგომ სტუდენტებში აკადემიური პერსონალის შეფასება ხორციელდება ე.გ კმაყოფილების კვლევებით, სტუდენტები ადასტურებენ რომ მათი რეკომენდაციები

ყოველთვის აისახება ხოლმე შემდგომ სწავლის შედეგებზე. რაც შეეხება ადამიანური რესურსების განვითარებას, პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარჯები, მათ შორის გათვალისწინებულია ხარჯები აკადემიური პერსონალის მონაწილეობისთვის საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში, თუმცა მიგვაჩნია რომ დაწესებულებამ მეტად უნდა უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სტიმულირება პროფესიული განვითარების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას მეტს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. მოცემულ ეტაპზე კვლევის შედეგის საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მასტერ კლასებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა ტრეინინგებში მონაწილოების როგორც საორგანიზაციო, ასევე ფინანსურ ხელშეწყობას, თუმცა საჭიროა აღნიშნული პროცესების გააქტიურება. უნივერსიტეტში ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერმანენტული შეფასებები, თუმცა როგორც ინტერვიურებისას აღნიშნა დადებითი შეფასებების შემთხვევაში კარგი იქნებოდა დაწესებულებამ გააქტიუროს შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი შეფასებისა და წახალისების სისტემა, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები: აკრედიტაციის თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის აკადემიურ პერსონალთან;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუები: არსებულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები;
- პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაწესებულებამ მეტად უზრუნველყოს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის სტიმულირება, განსაკუთრებით ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია დაწესებულებამ გააქტიუროს აკადემიური პერსონალის შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი შეფასებისა და წახალისების სისტემა, შემუშავდეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა და მოხდეს მისი ასახვა პროგრამის ბიუჯეტში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისათვის აკადემიური გარემოს შესაქმნელად უნივერსიტეტში მოწყობილია თანამედროვე სალექციო ოთახები, დარბაზები, ლაბორატორიები, გათვალისწინებულია შრომის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები. შენობები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის, ყველა აუდიტორია აღჭურვილია პროექტორით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდვური, ასევე ელექტრონული წიგნების ფონდი შესაბამისი ელექტრონული ბაზით, და

ელექტრონული კატალოგით. პანდემიის გამოწვევის პირობებში, როდესაც გამოიკვეთა ონლაინ სწავლებისა და მუშაობის გარდაუვალი აუცილებლობლობა, სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ კურსის სილაბუსში მოცემული ყველა ლიტერატურა დისტანციურად, ელექტრონულ ფორმატში, ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. ამასთან, კარგი იქნებოდა სალექციო კურსის ელექტრონულ მასალებზე წვდომის გამარტივების მიზნით უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ სისტემაში (http://www.thu.edu.ge/ka) სტუდენტის კაბინეტში შეიქმნას კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურის ონლაინ ფორმატში კითხვის მოდული, ისე რომ შემცირდეს მეილზე ინდივიდუალურად რიდერების და სხვა ლიტერატურის გაგზავნის შემთხვევები, რაც დაეხმარება აკადემიურ პერსონალს სტუდენტებთან უფრო ეფექტურად მართონ თავიანთი დრო.

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. ასევე, სტუდენტებისთვის ონლაინ ხელმისაწვდომია პერიოდული ბიზნეს გამოცემები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს გაეცნონ ბიზნესისა და მენეჯმენტის მიმართულებით უახლეს ლიტერატურას და ე: გ „ტრენდებს“ პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

ასევე ბიბლიოთეკის მიერ შემუშავებულია საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების რეგლამენტი და სტუდენტებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენების ინსტრუქციის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და შემოწმება შერჩევითი მეთოდით;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიარება;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სალექციო კურსის ელექტრონულ მასალებზე წვდომის გამარტივების მიზნით უნივერსიტეტის შიდა ელექტრონულ სისტემაში (http://www.thu.edu.ge/ka)

სტუდენტის კაბინეტში შეიქმნას კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურის ონლაინ ფორმატში კითხვის მოდული, რაც დაეხმარება სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს უფრო ეფექტურად მართონ თავიანთი დრო.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო აკადემიური პროგრამა დინამიურად განვითარებადია, და ამ ეტაპზე არ არის მოგებაზე ორიენტირებული, მისი მთავარი მიზანია საქართველოში ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელშეწყობა. მართალია არსებული მდგომარეობით პროგრამა თავის თავს ფინანსურად „ვერ ინახავს“, რაც განპირობებულია მიმდინარე პერიოდში მისაღები სტუდენტების რაოდენობის შეზღუდვით, მაგრამ აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით, მოსალოდნელი სტუდენტების რაოდენობა უკვე იძლევა აღნიშნული პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის საფუძველს. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში კონსოლიდირებულია თანხები როგორც აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებისათვის, ასევე სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილებისათვის, რაც გამოიხატება აკადემიური პერსონალის ჩართულობაში საერთაშორისო კონფერენციებში, სტუდენტების ჩართულობაში სხვადასხვა ბიზნეს

სიმულაციურ აქტივობებში თუ ტრეინინგებში. ბიუჯეტი ასევე გულისხმობს ბიზნეს ლიტერატურის მუდმივ განახლებასაც, და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასაც. თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან გამომდინარე აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და გათვალისწინებულია უსდ-ს „სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025-ით“. თუმცა საპროგნოზო სტუდენტების რაოდენობის ნიშნულის მისაღწევად საყურადღებოა უნივერსიტეტის მიერ ბიუჯეტში გამოყოფილი ხარჯი მარკეტინგულ აქტივობებზე, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტის წინაშე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არსებული ამოცანების გათვალისწინებით დიდი მნიშვნელობის მატარებელია, შესაბამისად სასურველია დაწესებულებამ მეტი აქცენტი გააკეთოს პროგრამის მარკეტინგულ მხარდაჭერაზე, რომელიც ამ ეტაპზე პროგრამისთვის ნაკლებად პრიორიტეტულია. იმისათვის, რომ გაიზარდოს პროგრამის ცნობადობა მიზნობრივ აუდიტორიაში და პროგრამამ შეძლოს ე.წ. „უზარალობის წერტილზე“ გასვლა, აუცილებელი იქნება აგრესიული მარკეტინგული კამპანიის წარმოება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან;
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია დაწესებულებამ პროგრამის ბიუჯეტში მეტი აქცენტი გააკეთოს პროგრამის მარკეტინგულ მხარდაჭერაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 23 იანვრის N1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები“-ს საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და

პროგრამის მოდიფიცირება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტი ჩართულნი არიან გაწეული მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით. გამოკითხვის ფორმებში შეტანილია ისეთი საკითხების შეფასება, როგორიცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით, სწავლის შედეგებით კმაყოფილება, მართვის პროცესების, ინფრასტრუქტურის შეფასება, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის, მატერიალური ბაზის შეფასება და სხვ. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის შიდა შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს გაეწია კონსულტაციები და მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იქნა პროგრამის სრულყოფის პროცესში.

როგორც სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაში, ისე ხარისხის შიდა შეფასებაში მნიშვნელოვან როლს ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული „პროგრამის განვითარების დარგობრივი კომისია“ ასრულებს. კომისიის წევრები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესში, ჩართულნი არიან მათი სწავლების მიმდინარეობის და შედეგების შეფასებაში. ისინი იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში პროგრამების საგანმანათლებლო მიზნების დადგენასა და მათ მოდიფიცირებასთან მიმართებაში.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო პროგრამის ხარისხის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების პროცესში ჩართული პერსონალი მუშაობის პროცესში მუშაობდა არა მხოლოდ ნაკლოვანებების გამოვლენის მიმართულებით, არამედ აანალიზებდა გამოვლენილ ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების ქმედებებსა და გზებს, რაც დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან

ინტერვიუებით, თუმცა აღნიშნული ანალიზის შედეგები არ არის დოკუმენტირებული; შესაბამისად სასურველია ანაგარიშების მომზადება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განვითარებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ტრენინგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა კვლევები და გამოკითხვების ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების/ტრენინგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგიისა და შეფასების მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა უკუკავშირის კვლევის შედეგები;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ანაგარიშების მომზადება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განვითარებას და დახვეწას. პროგრამის გარე შეფასება განხორციელებულია დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების და ასევე ერთი დამოუკიდებელი ექსპერტის გარე შემფასებლის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას. შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამის მოდიფიკაციისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ კურსდამთავრებულთა უკუკავშირის კვლევის შედეგები; ○ დამსაქმებელთა შეფასების ანალიზი; ○ გარე ექსპერტის შეფასება; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით. ხარისხის უზრუნველოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა Google ფორმების მეშვეობითაა შესაძლებელი). ხორციელდება სტუდენტთა სასწავლო კურსით კმაყოფილების ანალიზი. მიღებული შედეგები მუშავდება პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული

შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, სადაც აღწერილია მონაწილეთა შეფასებები და მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნულ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ინტერვიუების დროს. სახელდება მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციების პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინების კონკრეტული შემთხვევები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის. ასევე შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების მათთვის გაზიარება. ამ ეტაპზე პროგრამა არ იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; თუმცა პროგრამის აკდემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დააფიქსირა აღნიშნულ პროცესში ჩართულობის მზაობა.

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სტუდენტთა აკადმიურ მოსწრების ანალიზის შედეგები. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშების წარმოდგენაში. ანგარიშებში აისახება ინფორმაცია, მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და სხვ. აღნიშნული საქმიანობა დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების და ნაწილი აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან და ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასების ანგარიშებით.

პროგრამის თვითშეფასების პროცესში განხორციელდა პროგრამის შედარება წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ინტერვიუებით და ასევე ანალიზის შედეგებიც არის დოკუმენტირებული.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით

ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი; ○ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი; ○ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანგარიშები; ○ უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების დოკუმენტი; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

თორნიკე ხოშტარია

ქეთევან ქავთარაძე

ილია ბოცვაძე

ნინო ტალიკაძე